8. National, B. o. (2023, September 13). *Consolidated financial data of microfinance organizations*. Retrieved from Bank of Georgia National: <https://nbg.gov.ge/en/page/consolidated-data-of-microfinance-organizations>
9. National, B. o. (2023, 09 13). *Monetary and financial statistic*. Retrieved from National Bank of Georgia: <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>
10. Robert Cull, Asli Demirgüç-Kunt, Jonathan Morduch, . (2013, 02 07). *Banks and Microbanks*. New York, New York, USA.
11. Tsinaridze, R., & Beridze, L. (2020). Responsible lending - results and prospects. *GLOBALIZATION AND BUSINESS*, 96-103.
12. Vanroose, Annabel and Bert D’Espallier. (2013). “Do Microfinance Institutions Accomplish Their Mission? Evidence from the Relationship Between Traditional Financial Sector Development and Microfinance Institutions’ Outreach and Performance.”. *Applied Economics*, 45(15), 1965-1982.

**მიკრობანკის, როგორც საფინანსო სექტორის ახალი წარმომადგენლის გამოწვევები
ლაშა ბერიძე**

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, წმინდა ტბელ აბუსერისძეს
უნივერსიტეტის პროფესორი, lashalasha0103@gmail.com

რამინ ცინარიძე

ბიზნესის მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ბანკი; მიკრობანკი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; აქტივები; სესხები
J.E.L. classification: G21, G18 **DOI:** <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.11>

ციტირებისთვის: Beridze L., Tsinaridze R., (2024) Challenges of the microbank as a new representative of the financial sector (in English). Economic Profile, Vol. 19, 1(27), p. 42–49. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.11>

ანოტაცია. ფინანსურ სექტორში მხოლოდ საბანკო კონკურენციის არსებობა ვერ უზრუნველყოფს მის დაწევას. ფინანსური სექტორის მონაწილეებს ლიკვიდური აქტივები სჭირდებათ საკუთარი და მოზიდული სახსრების სამართავად და ეფექტიანად განსაკარგავად, შესაბამისად, ამ პროცესში ფინანსური სექტორის ზედამხედველი ორგანო - ეროვნული ბანკის ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელიც დამოკიდებულია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სწორედ ამ ლოგიკით იქნა მიღებული ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შეიქმნა მიკრობანკები.

მიკრობანკების გამოცდილების დიდი ისტორია მსოფლიოს არ აქვს, მაგრამ კომერციული ბანკების სპეციალიზაციით კლასიფიცირებას რა თქმა უნდა ვიცნობთ და აღნიშნულის ნათელი მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატებია. საქართველოში მიკრობანკებს მოუწევთ გამოწვევებთან გამკლავება და კონკურენციაში შესვლა როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, ასევე კომერციულ ბანკებთან, ამიტომ მისი შექმნა რამდენად გაამართლებს შექმნის მიზნებს შესაფასებელი იქნება პრაქტიკაზე დაკვირვებით, რომელიც დროს საჭიროებს.

კვლევის ამოცანაა მიკრობანკების, როგორც საფინანსო სექტორის ახალი მონაწილეების, კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის შუამავალი რგოლის შექმნის შეფასება და გაანალიზება. კომერციული ბანკები მოქმედებენ უნივერსალურობის პრინ-

ციპზე და ისინი საკუთარ პორტფელში რთავენ ნებისმიერი დარგის და მოცულობის სესხების დაფინანსებას. მიკრობანკები კი - მიუთითებენ კომერციული ბანკების შედარებით შემცირებული/შეკვეცილ ვარიანტზე, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით შედარებით მცირე მოცულობის სესხების დაფინანსებაზე.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საფინანსო სექტორის ახალი წარმომადგენლის შექმნის აუცილებლობა და მიზეზები, კვლევის ობიექტს კი საქართველოს საფინანსო ბაზარზე საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტების ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლები.

დასახული მიზნის გადასაჭრელად გამოყენებული იქნა სამეცნიერო კვლევის შემდეგი მეთოდები: ანალიტიკური - შეგროვებისთვის, შეჯამებისთვის; ანალოგიები და შედარება - საფინანსო სექტორზე ახალი „მოთამაშის“ გავლენის განსაზღვრა; განზოგადება - კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნების ფორმულირებისთვის.

ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტი. (2022, 07 18). განმარტებითი ბარათი "მიკრობანკების საქმიანობის შესახებ". ელექ. წყარო: <https://parliament.ge/legislation/24469>
2. ცინარიძე, რ., ბერიძე ლ. (2020). პასუხსიმგებლიანი დაკრედიტება - შედეგები და პერსპექტივები, გლობალიზაცია და ბიზნე-

- ბი, 96-103, <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.012>
3. ძაძუა, მ. (2022, 24 02). რას შეცვლის ახალი კანონი მიკრო ბანკების შესახებ საქართველოს ფინანსურ ბაზარზე, *ეკონომიკური პროფილი*, 17, 2(24), გვ. 33-34, <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.11>
 4. Georgia, N. B. (2024, 05 01). *Interest Rates on Loans by volume Ranges*. Retrieved from National Bank of Georgia: https://analytics.nbg.gov.ge/views/Loans_by_Volume_Ranges_EN/InterestRatesonLoansbyVolumeRanges?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no
 5. Georgia, N. B. (2024, 05 01). *Loans By NACE*. Retrieved from National Bank of Georgia: https://analytics.nbg.gov.ge/views/Loans_by_NACE_EN/LoansbyNACE?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no
 6. Georgia, N. B. (2024, 05 01). *Loans by volume ranges*. Retrieved from National Bank of Georgia: https://analytics.nbg.gov.ge/views/Loans_by_Volume_Ranges_EN/LoansbyVolumeRanges?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no
 7. Georgia, P. b. (2024, 05 13). *ProCredit Bank*. Retrieved from ProCredit Bank History: <https://www.procreditbank.ge/en/history>
 8. IMF. (2020). *Georgia: Technical Assistance Report-Strengthening Regulation, Supervision, and Oversight of Micro Lending Institutions*. Washington: International Monetary Fund.
 9. National, B. o. (2023, September 13). *Consolidated financial data of microfinance organizations*. Retrieved from Bank of Georgia National: <https://nbg.gov.ge/en/page/consolidated-data-of-microfinance-organizations>
 10. National, B. o. (2023, 09 13). *Monetary and financial statistic*. Retrieved from National Bank of Georgia: <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>
 11. Robert Cull, Asli Demirgüç-Kunt, Jonathan Morduch, . (2013, 02 07). *Banks and Microbanks*. New York, New York, USA.
 12. Vanroose, Annabel and Bert D’Espallier. (2013). “Do Microfinance Institutions Accomplish Their Mission? Evidence from the Relationship Between Traditional Financial Sector Development and Microfinance Institutions’ Outreach and Performance.”. *Applied Economics*, 45(15), 1965-1982

Some Forecasting Models in Tourism (case of Georgia)

Izolda Khasaia

Ph.D., Associated Professor of Akaki Tsereteli State University (Georgia)

izolda.khasaia@atsu.edu.ge

Keywords: *tourism; forecasting; trend models; moving average; international travelers*

J.E.L. classification: C530

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.06>

For citation: Khasaia I., (2024) Some Forecasting Models in Tourism (case of Georgia). (in English). Economic Profile, Vol. 19, 1(27), p. 50–55. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.06>

Anotation. *This article discusses a forecasting model with a combination of moving average and regression analysis. The result of modeling on a specific numerical example - the dynamics of visits of foreign travelers to Georgia - indicates that this approach to building trend models provides a good degree of data approximation and forecasting. All calculations necessary to build the model are performed using Excel tools.*

Introduction

In tourism, as in any other business, a responsible decision requires serious justification, since a mistake made in making a decision is associated with large financial losses.

In such cases, it is necessary to turn to modeling the behavior of the economic system. In most cases, mathematical models are used, which save the researcher from the need to conduct expensive experiments.

Tourism processes are usually dynamic, characterized by seasonality and trends. By analytically simplifying the dynamic rows, a certain model - a trend equation is built, which mathematically accurately describes the development trend of the event in time. The change in indicator levels can be described using a time function. Analytical smoothing method provides an opportunity to evaluate, mathematically describe and predict the event.

Among the econometric modeling models that allow for fairly good quality forecasting (for a long period) for data with trend and seasonality, we can highlight the Holt Winters

model (Stanley Jere, ...2019: 258-267), (Forecasting International Tourist Arrivals..., 2021: 41 -51), Fourier trigonometric series model (Khasaia & Chumburidze 2021: 122-130), moving average method (Ivanovski ... 2018: 121-132), gradient (Khasaia 2011: 5-10) and other models. However, the calculation of parameters in these models is quite difficult.

It is much easier to make a forecast for a short period using correlation-regression analysis (Khasaia 2014: 193-195).

In the presented paper, a forecasting model with a combination of moving average and regression analysis is discussed and the dynamics of international travelers' visits to Georgia are predicted.

The main goal of studying the visits of international travelers is to scientifically substantiate its development for the future period, to provide a forecast that can be used in planning both in the tourism industry and in other socio-economic prospective calculations.

Forecasting using regression analysis

To make a long-term forecast, it is necessary to use the data of previous years of the same period (at least 3-4 years). Consider the data of visits of international travelers to Georgia by quarters in 2020-2023. (National Tourism Administration of Georgia, 2024)

Table 1.

Visits of international travelers, 2020-2023

Quarter \ year	I	II	III	IV
2020	233479	114119	150320	149582
2021	134,712	351,302	815420	579837
2022	576503	1049425	2266677	1534298
2023	1208462	1651655	2706863	1505240

It is necessary to make a forecast of the visits of international travelers in the I, II, III and IV quarters of 2024 based on the data of previous years.

Using a simple econometric model, we get the regression equation, according to which we can predict the next period with 72% accuracy:

$$y = 149406 * x + 361054 (R^2 = 0.7158)$$

A higher quality of forecasting is possible by combining the moving average model and regression analysis.

Forecasting using moving average and regression analysis

The moving average method is one of the popular analysis tools. Its popularity is due to the ease of calculation and results. The essence of

the method is to calculate the average of the data in a certain period of time.

Let's build a time series using the moving average method (using the "Average" function in Excel). Let's find the average deviations of the smoothed series from the given time series. Based on the initial values of the time series, we calculate a smoothed time series using the moving average method based on data from the 2 previous seasons (previous 2 quarters).

Based on the resulting model, we calculate the values of the centered moving average (the average value of numbers located nearby) and seasonal variations (the difference between the actual and centered values), and write the result in the table (see Table 2.).

Table 2.

Table of intermediate calculations

year	Quarter	Visits of international travelers	Moving average	centered moving average	seasonal variation	de-seasonal visits of international travelers
1	2	3	4	5	6	7
2020	I	233479				537015
	II	114119				28077
	III	150320	173799	153009	-2689	-382033
	IV	149582	132220	141085	8497	464441
2021	I	135	149951	112405	-112270	303671
	II	351	74858	37551	-37199	-85690
	III	815420	243	204064	611356	283067
	IV	579837	407886	552757	27080	894696
2022	I	576503	697629	637899	-61396	880039
	II	1049425	578170	695567	353858	963383

	III	2266677	812964	1235508	1031170	1734324
	IV	1534298	1658051	1779269	-244971	1849157
2023	I	1208462	1900488	1635934	-427472	1511998
	II	1651655	1371380	1400719	250936	1565613
	III	2706863	1430059	1804659	902204	2174510
	IV	1505240	2179259	2142655	-637415	1820099

Let's find the average seasonal change using the data in Table 2 (column 6) and write it in Table 3 (see Table 3).

The sum of the mean seasonal variation should tend to zero, but it doesn't, so we make an adjustment. In our case, it is equal to 412626, so

we need to adjust the seasonal variations with the correction factor $K=412626/4= 103156,597$, that is, we have to subtract K from the average seasonal variation, we get the adjusted seasonal variation, the sum of which tends to zero (see table 3).

Table 3.

Adjustment for seasonal variation


Quarter	I	II	III	IV	sum
Average seasonal variations	-200379	189198	635510	-211702	412626
Adjusted seasonal average	-303536	86042	532353	-314859	0

Remove (subtract) the seasonality components from the actual values of the time series, i.e., deseasonize the data and enter the data obtained (deseasoned international visits) in Table. 2.

We approximate the deseasoned data using the least squares method in Excel, which will allow us to take into account the trend and the random component of the number of visits by international travelers (see Cart 1).

Diagram 1.

Approximation of deseasonalized data by regression model



We obtained a model of international travelers' visits - a trend equation with a coefficient of determination of 0.81:

$$y = 5667.4 * x^2 + 50635 * x - 51400 \quad (R^2 = 0.81)$$

Thus, the obtained model with 81%

accuracy gives us the basis to say that 11 million international travelers are expected to visit Georgia in 2024, and the figures based on quarters (taking into account the seasonality component) is given in Table 4.:

Table 4.

International traveler visit forecast data

Quarter	I	II	III	IV
Visits of international travelers	2047564	2549147	3644956	2787882

Conclusion

Modeling results for a specific numerical example - international visitor visits to Georgia - prove that the trend modeling approach, which includes a combination of moving average and regression analysis, provides a good quality of data approximation and forecasting.

The use of trend models will give the entities involved in tourism the opportunity to obtain a significant economic effect, since the organization can anticipate the possible development of events and prepare for them in advance.

According to the forecast of visits of international travelers to Georgia, we can conclude that international tourism is trending upward and in 2024 will not only reach the 2019 level (before the pandemic), but will also exceed it by 17%.

The main thing is that this growth trend is not affected by circumstances related to military aggression or other disasters.

References

1. Georgian National Tourism Administration (2024). Studies. www.gnta.ge
2. Khasaia I., Chumburidze M. (2021) Forecasting the Dynamics of Tourist Visits Using the Fourier Series. Akaki Tsereteli State University Scientific Journal "Moambe" №2(18), p.122-130 <https://moambe.atsu.edu/> [accessed 22.04.2024]
3. Khasaia, Izolda (2014) Methods of Scientific Research in Tourism. Tbilisi, Favorite Style, Pages:316
4. Khasaia, I. (2011). Modeling the number of arriving tourists. International scientific and practical conference "Hotel and restaurant, tourist and exhibition business: innovative directions of development", Kyiv, 5-10 <http://stt.nplu.org/journal.php?id=579993> [accessed 22.04.2024]
5. Ivanovski, Z., Milenkovski, A., Narasanov, Z. (2018). Time Series Forecasting Using a Moving Average Model for Extrapolation of Number of Tourist. UTMS Journal of Economics 9 (2): 121–132 (PDF) Available from: https://www.researchgate.net/publication/329714218_Time_Series_Forecasting_Using_a_Moving_Average_Model_for_Extrapolation_of_Number_of_Tourist [accessed 22.04.2024].
6. The handbook of forecasting: A manager's guide, edited by Makridakis, Spyros and Wheelwright, Steven C., New York: Wiley, 1982. Pages: 602
7. Forecasting International Tourist Arrivals In Malaysia Using Sarima And Holt-Winters Model (2020) Journal of Tourism Hospitality and Environment Management 5(18):41-51 DOI: 10.35631/JTHEM.518004
8. S. Jere, A. Banda, B. Kasense. Forecasting Annual International Tourist Arrivals in Zambia Using Holt-Winters Exponential Smoothing. 2019. [Open Journal of Statistics](https://ojs.2019.92019) 09(02):258-267. DOI: [10.4236/ojs.2019.92019](https://doi.org/10.4236/ojs.2019.92019)
9. Moving Average: What it is and How to Calculate it. Available from: <https://www.statisticshowto.com/probability-and-statistics/statistics-definitions/moving-average/> [accessed 22.04.2024]

პროგნოზირების ზოგიერთი მოდელები ტურიზმში (საქართველოს შემთხვევა)

იზოლდა ხასაია

აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, izolda.khasaia@atsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი; პროგნოზირება; ტრენდული მოდელები; მოძრავი საშუალო; საერთაშორისო მოგზაურები

J.E.L. classification: C530

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.06>

ციტირებისთვის: Khasaia I., (2024) Some Forecasting Models in Tourism (case of Georgia). (in English). Economic Profile, Vol. 19, 1(27), p. 50–55. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.06>

ანოტაცია. ტურიზმში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ბიზნესში საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მოითხოვს სერიოზულ დასაბუთებას, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღებისას დაშვებული შეცდომა დაკავშირებულია დიდ ფინანსური დანაკარგებთან.

ტურიზმის პროცესები, როგორც წესი, არის დინამიური, ხასიათდება სეზონურობითა და ტენდენციით. დინამიური მწკრივების ანალიტიკური გამარტივებით ხდება გარკვეული მოდელის - ტრენდის განტოლების აგება, რომელიც მათემატიკურად ზუსტად აღწერს მოვლენის განვითარების ტენდენციას დროში. მაჩვენებლის დონეების ცვლილების აღწერა შესაძლებელია დროითი ფუნქციის გამოყენებით. ანალიტიკური დაგეგმვების მეთოდი, მოვლენის შეფასების, მათემატიკურად აღწერისა და პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია პროგნოზირების მოდელი მოძრავი საშუალოს და რეგრესიული ანალიზის კომბინაციით და გაკეთებულია საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების დინამიკის პროგნოზირება, მოდელის ასაგებად საჭირო ყველა გამოთვლები ჩატარებულია Excel-ის ინსტრუმენტარების გამოყენებით.

ძირითადი მიზანი საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების შესწავლისა მდგომარეობს იმაში რომ მეცნიერულად დავასაბუთოთ მისი განვითარება მომავალი პერიოდისთვის, მივცეთ პროგნოზი, რომლის გამოყენება არის შესაძლებელი დაგეგმვაში როგორც ტურისტულ საწარმოში, ისე სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პერსპექტიულ გათვლებში.

მოდელირების შედეგი კონკრეტული რიცხვითი მაგალითისთვის - საქართველოში

საერთაშორისო ვიზიტორთა ვიზიტები - ასაბუთებს, რომ ტრენდული მოდელების აგების მიდგომა, რომელიც მოიცავს მოძრავი საშუალოს და რეგრესიული ანალიზის კომბინაციას უზრუნველყოფს მონაცემთა აპროქსიმაციის და პროგნოზირების მაღალ ხარისხს.

ტრენდული მოდელების გამოყენება ტურიზმში ჩართულ სუბიექტებს მისცემს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მიღების შესაძლებლობას, ვინაიდან ორგანიზაციას შეუძლია წინასწარ გათვალისწინოს მოვლენების შესაძლო განვითარება და მოემზადოს ამისთვის.

ლიტერატურა

1. Georgian National Tourism Administration (2024). Studies. www.gnta.ge
2. Khasaia I., Chumburidze M. (2021) Forecasting the Dynamics of Tourist Visits Using the Fourier Series. Akaki Tsereteli State University Scientific Journal "Moambe" №2(18), p.122-130 <https://moambe.atstu.edu.ge/> [accessed 22.04.2024]
3. Khasaia, I., Izolda (2014) Methods of Scientific Research in Tourism. Tbilisi, Favorite Style, Pages:316
4. Khasaia, I. (2011). Modeling the number of arriving tourists. International scientific and practical conference "Hotel and restaurant, tourist and exhibition business: innovative directions of development", Kyiv, 5-10 <http://stt.nplu.org/journal.php?id=579993> [accessed 22.04.2024]
5. Ivanovski, Z., Milenkovski, A., Narasanov, Z. (2018). Time Series Forecasting Using a Moving Average Model for Extrapolation of Number of Tourist. UTMS Journal of Economics 9 (2): 121–132 (PDF) Available from: https://www.researchgate.net/publication/329714218_Time_Series_Forecasting_Using_a_Moving_Average_Model_for_Extrapolation_of_Number_of

- [Tourist](#) [accessed 22.04.2024].
6. The handbook of forecasting: A manager's guide, edited by Makridakis, Spyros and Wheelwright, Steven C., New York: Wiley, 1982. Pages: 602
 7. Forecasting International Tourist Arrivals In Malaysia Using Sarima And Holt-Winters Model (2020) Journal of Tourism Hospitality and Environment Management 5(18):41-51
DOI: 10.35631/JTHEM.518004
 8. S. Jere, A. Banda, B. Kasense. Forecasting Annual International Tourist Arrivals in Zambia Using Holt-Winters Exponential Smoothing. 2019. [Open Journal of Statistics](#) 09(02):258-267.
DOI: [10.4236/ojs.2019.92019](#)
 9. Moving Average: What it is and How to Calculate it. Available from:
<https://www.statisticshowto.com/probability-and-statistics/statistics-definitions/moving-average/>
[accessed 22.04.2024]

მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური გავლენის ანალიზი

გენადი იაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, genadi_iashvili@hotmail.com

ანა ზარათაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, baratashvilian@gmail.com

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია; იმიგრაცია; უმუშევრობა; რეინტეგრაცია.

J.E.L. Classification: E24, J2, J8.

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.01>

ციტირებისთვის: იაშვილი გ., ზარათაშვილი ა., (2024) მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური გავლენის ანალიზი. ეკონომიკური პროფილი. ტ. 19, 1(27), გვ. 56-63 DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.01>

ანოტაცია

გლობალიზაციის საზღვრების გაფართოება თავისთავად იწვევს ადამიანების გადაადგილების გააძვირებას ერთი ქვეყნიდან მეორეში. როგორც ბოლო ათწლეულების რეალობა გვიჩვენებს, ეს გადაადგილება, ნებაყოფლობითან ერთად შესაძლებელია იყოს ასევე იძულებითი, რომელიც სამუშაო ადგილის მოძებნის აუცილებლობით არის განპირობებული. წლების მანძილზე ადამიანთა ამ ნაკადების დენადობამ – მიგრაციამ, ქვეყნებს შორის დიდი მასშტაბები შეიძინა და აქტუალურ პრობლემად იქცა. მიგრაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გლობალური გამოწვევაა, რომელსაც თან ახლავს არა მხოლოდ სოციალური, არამედ მძიმე ეკონომიკური პრობლემებიც და არაერთ სირთულეს ქმნის მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში. თანამედროვე მიგრაციების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან მომდინარეობს.

შესავალი

თანამედროვე საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, მიგრაცია აქტუალური თემაა. ემიგრაციის და იმიგრაციის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია რო-

გორც ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან, ისე ადამიანების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებთან. საქართველოს უახლეს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაცია, ძირითადად, ქვეყანაში არსებული არასტაბილური სიტუაციით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარემოებებით იყო გამოწვეული. თუმცა, მოგვიანებით ემიგრაციული ნაკადების ზრდაში მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა შეასრულეს.

ძირითადი ნაწილი


საქართველოდან აქტიური ემიგრაცია დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ის გადარჩენის სტრატეგიას წარმოადგენდა მოსახლეობისთვის, რომელიც აღმოჩნდა ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე. დღესაც კი, არსებული საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების ძირითადი მახასიათებლები საქართველოს შემთხვევაში უკავშირდება ემიგრაცი-

ას და კერძოდ, არა დოკუმენტირებულ და არარეგულარულ ემიგრაციას და არა იმიგრაციას. ემიგრაციული ნაკადები ქვეყანაში

არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის, დაბალანაზღაურებადი სამსახურებისა და უმუშევრობის შედეგია.

ნახაზი 1

საქართველოს მიგრაციული სალდო 1994-2022 წლებში, ათასი კაცი




წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>

მიგრაციული სალდოს ანალიზმა გვიჩვენა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ათწლეულში (1994-2002 წლები) განსაკუთრებით მაღალი იყო მიგრაციის უარყოფითი სალდო (25-190 ათასი კაცი). 2022 წელს კი რუსეთ-უკრაინის ომის მიგრაციული ცვლილებების შედეგად, დადებითმა მიგრაციულმა სალდომ 56509 კაცი შეადგინა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში, ქვეყანამ განიცადა მთლიანი შიდა პროდუქტის

(GDP) შესამჩნევი ზრდა. თუმცა, ზემოხსენებულმა არ გამოიწვია მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესება და ამგვარად, იგი არ აღმოჩნდა საკმარისი მიგრაციის უარყოფითი მაჩვენებლის ზრდის შესაჩერებლად. ამ წლების მანძილზე ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა შეიცვალა სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის, ემიგრაციის შედეგად, რამაც მოსახლეობის შემცირება გამოიწვია.

ემიგრანტების და იმიგრანტების განაწილება ასაკის მიხედვით, 2022 წელი



წყარო: <https://www.geostat.ge>

იმიგრანტთა და ემიგრანტთა ასაკობრივი ჭრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2022 წელს იმიგრანტთა რაოდენობა ყველა ჯგუფის მიხედვით მეტი იყო ემიგრანტთა რაოდენობაზე, რაც ასევე რუსეთ-უკრაინის ომის მიგრაციული ცვლილებების შედეგია. ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოირჩევა 16-დან 64 წლის ასაკამდე ემიგრანტები და მიგრანტები (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა), რომლებმაც, შესაბამისად საერთო რაოდენობის 84% და 86% შეადგინა.

გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ანალიზის დეპარტამენტის შეფასებების მიხედვით, 2020 წელს საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტთა რიცხვმა შეადგინა 861 077 ადამიანი, რაც მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 22%-ია (UN-DESA, 2020). ქართველ ემიგრანტთა ყველაზე დიდი ნაწილი იყო რუსეთში, საბერძნეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ამერიკის შეერთებული შტატებში და სომხეთში. როგორც ჩანს, ემიგრანტთა გენდერული შემადგენლობა საკმაოდ დაბალანსებულია - ქალები ემიგრანტების 50.2%-ს შეადგენენ.

ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოში (იტალია, საბერძნეთი) შესაძლებელია დავაფიქსიროთ საქართველოდან ემიგრაციის ფემინიზაცია. ბოლო მონაცემების თანახმად, საქართველოდან რუსეთში ნაკადები შესამჩნევად შემცირდა, განსაკუთრებით კი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ. ამ პერიოდიდან მოხდა ნაკადების ევროკავშირის, ისრაელისა და ჩრდილოეთ ამერიკისკენ გადამისამართება, რომლებიც ქართველ მიგრანტებს უფრო მაღალ ანაზღაურებას, უსაფრთხოებასა და უკეთესი ცხოვრების ხარისხს სთავაზობდნენ. ევროკავშირის შედარებით ახალი წევრი სახელმწიფოებიც იზიდავენ ქართველ ემიგრანტებს, განსაკუთრებით პოლონეთი, სადაც მოქმედებს გამარტივებული ცირკულარული მიგრაციის სქემები.

საქართველოდან მიგრანტების უმეტესობას, როგორც წესი, გააჩნია საშუალოზე შედარებით მაღალი განათლების დონე. მიგრანტების შედარებით ნაკლები რაოდენობა ტოვებს ქვეყანას საგანმანათლებლო და კვლევითი შესაძლებლობებისთვის. მათი გამგზავრება წარმოადგენს ინტელექტუალური კაპიტალის დაკარგვას ქვეყნისთვის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აგროვებს მონაცემებს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების შესახებ, რომლებიც სწავლობენ საზღვარგარეთ და მათი სწავლების სფეროების შესახებ. ამიტომ, რთულია იმის შეფასება, თუ საქართველოს რამდენი მოქალაქე იღებს პროფესიულ განათლებას და გადის შესაბამის მომზადებას (VET) ან იღებს საშუალო განათლებას საზღვარგარეთ. საქართველოდან საგანმანათლებლო ემიგრანტების ძირითადი მიმართულებების ქვეყნებია გერმანია, უკრაინა, სომხეთი, თურქეთი და აშშ (ტუხაშვილი და ჭელიძე, 2019:187).

ემიგრანტების ფულადი გზავნილები მაკროეკონომიკურ დონეზე გავლენის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. ფულადი გზავნილები კვლავ არსებით როლს ასრულებს საქართველოში დარჩენილი მიგრანტების ოჯახებისათვის. როგორც კვლევები გვიჩვენებს, მიუხედავად მათი შედარებით მაღალი ოდენობისა, ფულად გზავნილებს მცირე ზეგავლენა აქვთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი წარმოადგენენ ძლიერ ინსტრუმენტს მიგრანტების ოჯახებისთვის სიღარიბის შემცირებისა და ცხოვრების ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით.

ემიგრანტების ფულადი გზავნილები მაკროეკონომიკურ დონეზე გავლენის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. ფულადი გზავნილები კვლავ არსებით როლს ასრულებს საქართველოში დარჩენილი მიგრანტების ოჯახებისათვის. როგორც კვლევები გვიჩვენებს, მიუხედავად მათი შედარებით მაღალი ოდენობისა, ფულად გზავნილებს მცირე ზეგავლენა აქვთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი წარმოადგენენ ძლიერ ინსტრუმენტს მიგრანტების ოჯახებისთვის სიღარიბის შემცირებისა და ცხოვრების ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით.

ფულადი გზავნილები საქართველოს მშპ-ს მნიშვნელოვან წილს (13-15%) შეადგენს. თუმცა, კვლევები გვიჩვენებს, რომ დაბრუნებული მიგრანტების შემთხვევაში შემენილი კვალიფიკაციის გაზიარება და ტრანსფერი უმნიშვნელოდ ხდება, ხოლო იმ დაბრუნებული მიგრანტების შემთხვევაში, რომლებიც ე.წ. 3D სამუშაოებით იყვნენ დაკავებული საზღვარგარეთ, ეს მაჩვენებლები, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უფრო ემიგრაციის ქვეყანაა, ვიდრე იმიგრაციისა, ბოლო წლების მანძილზე მან განიცადა იმიგრანტების გარკვეული ჯგუფების შემოდინება. (სილაგაძე, 2020:192).

საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობა სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველწლიურად ერთ მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. 2014 წლამდე საქართველოში ფორმალური არხების მეშვეობით გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა სტაბილურად იზრდებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა 2009 წელი, როდესაც ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა 2007-2008 წლებში მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისის გამო. 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს ფულადი გზავნილების მოცულობა საქართველოში კვლავ შემცირდა თითქმის მეოთხედით, რაც დიდწილად რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლებით იყო გამოწვეული იქ შექმნილი ეკონომიკური კრიზისის და რუბლის გაუფასურების გამო. თუმცა, ფულადი გზავნილების საერთო მოცულობა მომდევნო წლებში ისევ გაიზარდა.

ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთიდან, აშშ-დან, საბერძნეთიდან და იტალიიდან შემოდის. რუსეთიდან შემოსული გზავნილების წილი საერთო ფულად გზავნილებში თანდათანობით მცირდება. ამასთან, 2012 წლიდან გაი-

ზარდა ევროკავშირის ქვეყნებიდან (28 ქვეყანა) შემოსული ფულადი გზავნილების მთლიანი წილიც (Triandafyllidou, 2022:248)

საქსტატის და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2009 წლიდან ფულადი გზავნილების ყოველწლიური ოდენობა ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველწლიურ ოდენობას აჭარბებდა. ეს ტენდენცია 2014 წელს შეიცვალა და მას შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წლიური მაჩვენებელი დაახლოებით 500 მილიონით აჭარბებს საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მაჩვენებელს. ეს ცვლილება ადასტურებს მოსაზრებას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დამოკიდებულია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობასა და სხვა მრავალ ფაქტორზე, ფულადი გზავნილების შემოდინება კი შედარებით სტაბილური პროცესია და ემიგრანტების წარმოშობის ქვეყანასთან არსებული კავშირების სიმყარეზეა დამოკიდებული.

კვლევები უჩვენებს, რომ ყოველი მეორე ემიგრანტის მიერ გამოგზავნილი თანხა ოჯახის ბიუჯეტის ნახევარს ან $\frac{3}{4}$ -ს შეადგენდა, ემიგრანტების 15%-ის მიერ გამოგზავნილი თანხა კი მათი ოჯახის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. ამასთან, იმ ოჯახების, რომელთა წევრებიც დამოკიდებულების დროს უცხოეთში იმყოფებოდნენ, 55% აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრის მიგრაციამ გააუმჯობესა ცხოვრების პირობები, 30%-ისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჯანდაცვა, ხოლო 25%-ისთვის - განათლება.

მაკროეკონომიკურ დონეზე გავლენის თვალსაზრისით, ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. უცხოური ვალუტის რეზერვები კი, თავის მხრივ, საშუ-

აღებას აძლევს ქვეყნებს, შეიძინონ იმპორტირებული საქონელი ან გადაიხადონ საგარეო ვალი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყნებისთვის. (Debnath, 2016:188)

მნიშვნელოვანია ქვეყანაში დანაზოგების შექმნის სისტემის გაუმჯობესება, რათა წახალისდეს ფულადი გზავნილების პროდუქტიული გამოყენება. ამ მხრივ საჭიროა ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების გაუმჯობესება და დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის, ემიგრანტებისთვის თანადაფინანსების ან ინვესტირების შეღავათიანი პირობების შეთავაზება. ამასთან, საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების შესახებ კვლევები ცხადყოფს, რომ დაბრუნების შემდეგ მიგრანტები უპირველეს ყოვლისა, რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით არიან მოწყვლადები. შესაბამისად, მათ მთავარ საჭიროებას დასაქმება წარმოადგენს (Russell, 2022:384)

პრობლემურ საკითხებად გვევლინება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების და ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის გადამზადების საჭიროებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია დაბრუნებული მიგრანტების ადგილობრივ შრომით ბაზარზე რეინტეგრაციის მხარდამჭერი ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც, გულისხმობს ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობას და სახელმწიფოს შესაბამისი სერვისების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას, ასევე პროფესიული საკვალიფიკაციო პროგრამებით და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებით სარგებლობაში მხარდაჭერას.

საქართველოდან ემიგრაცია, უპირატესად, მაღალგანვითარებული ქვეყნებისკენაა მიმართული და, ძირითადად, დასაქმების და უმაღლესი განათლების მიღებით არის მოტივირებული. საქართველოს მოქალაქეების მიერ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შეძენილი ცოდნა, უნარები და გამოცდილება ფასდაუდებელი აქტივია როგორც მათთვის, ასევე მათი წარმოშობის ქვეყნისთვის. შესაბამისად, სამშობლოში დაბრუნებული ასეთი კატეგორიის ემიგრანტების ეკონომიკური და სოციალური რეინტეგრაცია მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია ქვეყნისთვის და იმ სექტორების განვითარებისთვის, სადაც ასეთი ცოდნის და უნარების მქონე ადამიანური რესურსის ნაკლებობაა (Renzaho, 2016:608).

დასკვნა

საერთაშორისო მობილობის გაზრდილი შესაძლებლობებისა და მიგრაციის მამოძრავებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ემიგრაციული ნაკადების შემცირება ახლო მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი იქნება ამ ნაკადების უსაფრთხო და ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევა, ასევე, საზღვარგარეთ მცხოვრებ მრავალრიცხოვან ქართულ დიასპორასთან კავშირების გაძლიერება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ჩართვა.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ფულადი გზავნილები კვლავ არსებით როლს ასრულებს საქართველოში დარჩენილი მიგრანტების ოჯახების ცხოვრებაში. როგორც კვლევები გვიჩვენებს, მიუხედავად მათი შედარებით მაღალი ოდენობისა, ფულად გზავნილებს მცირე ზეგავლენა აქვთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამრიგად, საქართველოში მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს მიგრაციული პოლიტიკა, რომე-

ლიც ხელს შეუწყობს არარაციონალური, ინტენსიური ემიგრაციული მასშტაბის შემცირებას, მიგრაციის ლეგალიზებას, მიგრაციის ეფექტიანობის ამაღლებას, მიგრანტთა დაბრუნებასა და სამშობლოში სოციალურ-ეკონომიკურ რეინტეგრაციას, იმიგრაციის ქვეყნების მიერ გატარებულ ღონისძიებებთან საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის ჰარმონიზაციას და იმიგრაციული პროცესების ნორმალიზაციას.

ლიტერატურა

1. ტუხაშვილი მ., ჭელიძე ნ., (2019) შრომითი მიგრაცია (სალექციო მასალა). ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., - 187 გვ.
2. სილაგაძე ს., (2020) ინტელექტუალური მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია; თსუ; თბილისი. - 192 გვ.
3. UN-DESA - გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ანალიზის დეპარტამენტი. URL: <https://www.un.org/development/desa/dpad/category/un-desa/> (ნანახია 19.03.2024)
4. Triandafyllidou A., (2022) Migration and Pandemics: Spaces of Solidarity and Spaces of Exception. Springer International Publishing, Jan 2, - 248 p.
5. Debnath, P., (2016) Leveraging Return Migration for Development: The Role of Countries of Origin. 188.p
6. King R., Kuschminder K., (2022) Handbook of Return Migration. Edward Elgar Publishing. - 384 p.
7. Andre M.N. Renzaho (2016) Globalisation, Migration and Health: Challenges and Opportunities. - 608 p.

ANALYSIS OF SOCIO-ECONOMIC IMPACT OF MIGRATION

Genadi Iashvili

Doctor of Technical Sciences, Professor at the Georgian Technical University

genadi_iashvili@hotmail.com

Ana Baratashvili

PhD student at Technical University of Georgia,

Faculty of Business Technologies, baratashvilian@gmail.com

Keywords: *migration; immigration; unemployment; reintegration.*

J.E.L. Classification: E24, J2, J8.

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.01>

For citation: Iashvili G., Baratashvili A., (2024) Analysis of socio-economic impact of migration (in Georgian). Economic Profile, Vol. 19, 1(27), p. 56-63. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.01>

Summary: The expansion of the boundaries of globalization in itself leads to the facilitation of the movement of people from one country to another. As the reality of past decades has shown, this could be voluntary or involuntary movement, which is caused by the need to find jobs. Over the years, the migration of these flows of people between countries has acquired a large scale and has become a pressing

challenge. Migration is among the most important global challenges, which is accompanied by not only social, unsustainable, and severe economic problems, but also creates many difficulties in many countries throughout the world. One of the major reasons for present-day human migrations is due to socio-economic problems.

Migration balance of Georgia in 1994-2022



source: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>

The analysis of the migration balance showed us that in the first decade of independence (1994-2002), the negative migration balance was particularly high (25-190 thousand people). In 2022, as a result of the migration changes caused by the Russian-Ukrainian war, the positive migration balance amounted to 56,509 people.

The analysis of these migration flows in terms of age, in 2022, has shown that the number of immigrants in all age-groups was higher than the number of emigrants, which is also the result of the migration

changes caused by the Russian-Ukrainian war. As expected, emigrants and immigrants (economically active population) between the ages of 16 and 64 have the highest specific share, which made up 84% and 86% of their total number, respectively.

Given the increased opportunities for international mobility and the driving factors of migration, a reduction in emigration flows is unlikely to occur in the near future. In our opinion, it will be important to bring these flows into a safe and legal framework, as well as to strengthen relations with the

large Georgian diaspora living abroad and to involve them in the socio-economic development of the country.

It should be noted that today, remittances continue to play an important role in the lives of migrant families remaining in Georgia. As studies show, despite their relatively high amount, remittances have little impact on the country's economic development. Thus, it is important to establish a migration policy in Georgia that will contribute to the reduction of irrational, intensive emigration, the legalization of migration, the increase of the efficiency of migration, the return of migrants and their socio-economic reintegration in their homeland, the harmonization of the migration policy of Georgia with the measures taken by the countries of immigration, and the normalization of immigration processes.

References:

1. Tukhashvili M., Chelidze N., (2019) Labor migration (the lecture material). Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Tb., - 187 p.
2. Silagadze S., (2020) Modern trends in intellectual migration. The thesis nominated for the academic degree of Doctor. TSU, Tbilisi.– 192 p.
3. UN-DESA – UN Department of Economic and Social Affairs. URL: [https://www.un.org/development/desa/dpad/category/un-desa/](https://www.un.org/development/desa/dpad/category/un-des/) (viewed on 19.03.2024)
4. Triandafyllidou A., (2022) Migration and Pandemics: Spaces of Solidarity and Spaces of Exception. Springer International Publishing, Jan 2, - 248 p.
5. Debnath, P., (2016) Leveraging Return Migration for Development: The Role of Countries of Origin. 188.p
6. King R., Kuschminder K., (2022) Handbook of Return Migration. Edward Elgar Publishing. - 384 p.
7. Andre M.N. Renzaho (2016) Globalisation, Migration and Health: Challenges and Opportunities. - 608 p.

საქართველოს მცირე ბიზნეს სექტორის რეგიონული სტრუქტურის ანალიზი ნათია კურდღელია

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მიწვეული ლექტორი, natiakurdgelia1976@gmail.com

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი; რეგიონი; ეკონომიკური საქმიანობა; დასაქმება; ბრუნვა

J.E.L. classification: M21, R1

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.05>

ციტირებისთვის: კურდღელია ნ., (2024 საქართველოს მცირე ბიზნეს სექტორის რეგიონული სტრუქტურის ანალიზი. ტ. 19, 1(27), გვ. 64–71. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.05>

ანოტაცია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კერძო საკუთრებაზე დამყარებული ბიზნეს-ურთიერთობების გაღრმავება და ხელშეწყობა ქვეყნის უმთავრეს პრიორიტეტად იქცა. ამ მხრივ საქართველოს ზომისა და ეკონომიკური პოტენციალის მქონე ქვეყნისათვის ერთ-ერთი მთავარი ვექტორი მცირე საწარმოების განვითარებისკენაა მიმართული. ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში, არათანაბარი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო ბიზნესის ამ სექტორის განვითარებამ. პრობლემა მასშტაბურია, ამიტომ წარმოდგენილი სტატია ეძღვნება საქართველოს მცირე ბიზნეს სექტორის რეგიონული სტრუქტურის ანალიზს. კერძოდ, მცირე ბიზნეს სექტორის ძირითად მკვნიშობლებთან ერთად ნაშრომში განხილულია მასთან დაკავშირებული რეგიონული თავისებურებები - მცირე საწარმოთა ბრუნვის, პროდუქციის გამოშვების, დამატებული ღირებულების, ძირითადი კაპიტალის, განაწილებული მოგებისა და დასაქმების მონაცემთა ანალიზი, რომელიც ამავე დროს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჭრილშიც განიხილება. ზემოთ აღნიშნული აქტუალობას სძენს წარმოდგენილი ნაშრომი.

შესავალი

თანამედროვე პირობებში წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილება ნათლად ამტკიცებს ნებისმიერ ეკონომიკაში მაღალგანვითარებული და ეფექტიანი მცირე და საშუალო მეწარმეობის არსებობის აუცილებლობას. ეკონომიკის ეს სექტორი წარმოადგენს იმ მძლავრ რგოლს, რომელსაც

შემდგომში მნიშვნელოვნად ეფუძნება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარება (ცეცხლაძე, 2012).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკური რეფორმების წარმართვა ყოველთვის მოიაზრებდა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე. ამასთან, სახელმწიფო უზრუნველყოფს მეწარმეობის თავისუფლებას (მუხლი 6 და 26). (საქართველოს კონსტიტუცია).

ათწლეულების განმავლობაში იცვლებოდა საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოები მცირე ბიზნესის მიმართ. პირველ რიგში ეს შეეხებოდა „მცირე საწარმოს“ სტატუსს და მის მიმართ გავრცელებულ რიგ შეღავათებს (საქართველოს კანონი...). 2017 წლიდან მოქმედებს საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც: მსხვილია საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა წლიური რაოდენობა 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა ჭარბობს 60 მილიონ ლარს. საშუალო ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-იდან 250 კაცამდე, ხოლო სა-

შუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარიდან 600 მლნ ლარამდე. მცირე ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 კაცს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარს (კურდღელია, 2021).

შესაბამისად, იცვლებოდა მცირე ბიზნესის განვითარების მაშტაბები და ეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე იკვეთებოდა ამ სექტორის რეგიონული განვითარების თავისებურებები (გოგიაშვილი, 2013; ჩიხლაძე, 2013)

საქართველოს ეკონომიკაში მცირე საწარმოთა მნიშვნელობაზე მიუთითებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი, რომელშიც შემოთავაზებულია აგრეგირებული მაჩვენებლები.

2022 წელს საქართველოში ბიზნეს სექტორის ბრუნვამ 33,3 მლრდ ლარს გადააჭარბა, რომლის 18,3% მცირე ბიზნეს სექტორზე მოდის. პროდუქციის გამოშვებასა და დამატებულ ღირებულებაში მისი ხვედრითი წილი შესაბამისად 27,7 და 27,3%-ია (საქსტატი, 2023). შედარებით მოკრძალებულია იგი წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯებში (17,5%).

ნიშანდობლივია, რომ მცირე საწარმოები 2022 წელს ქვეყანაში ასაქმებდნენ 310409 კაცს, ანუ იმდენივეს, რამდენსაც მსხვილი ბიზნესი. ეს კი ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა თითქმის 40%-ია (იხ. ცხრ. 1).

ბიზნეს სექტორში დარიცხული მოგების მეხუთედი მოდის მცირე საწარმოებზე.

ცხრილი 1

მცირე საწარმოთა აგრეგირებული მაჩვენებლები (2022 წელი)

	მაჩვენებელი	ზომის ერთეული	სულ	ხვ.წილი მთლიანთან, %
1	ბრუნვა	მლნ. ლარი	33 328.8	18.3
2	პროდუქციის გამოშვება		19 885.3	27.7
3	დამატებული ღირებულება		9 864.3	27.3
4	შუალედური მოხმარება		1 0021	28.1
5	წარმოების და რეალიზაციის ხარჯები		29 418.7	17.5
6	დარიცხული მოგება		4 539	26.2
7	ძირითადი კაპიტალი		9 624.2	20.5
8	დასაქმებულთა რიცხოვნობა	კაცი	310 409	39.8
9	საშუალოთვიური ხელფასი	ლარი	1 187.2	74 ხვ.წილი საშუალო ხელფასთან

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით

სამწუხაროდ, მცირე ბიზნესში დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება (1187 ლარი) მნიშვნელოვნად ჩამორჩება

ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელს და მის მხოლოდ 74%-ს შეადგენს.

როგორც აღინიშნა, მცირე საწარმოები

მთლიანი ბიზნეს ბრუნვის მეხუთედსაც არ შეადგენს, თუმცა რეგიონების მიმართ ასიმეტრიული მდგომარეობა ფიქსირდება (იხ. ცხრ. 2). კერძოდ, მცირე საწარმოთა ბრუნ-

ვის ნახევარზე მეტი (52,8%) თბილისზე მოდის. შედარებით მაღალი ხვედრითი წილი ფიქსირდება აჭარის არ-ში (13,2%), იმერეთში (8,5%) და ქვემო ქართლში (6,1%).

ცხრილი 2

მცირე საწარმოთა ბრუნვის, პროდუქციის გამოშვების და დამატებული ღირებულების მაჩვენებლების განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით (2022 წელი, %)

რეგიონი	ბრუნვა	პროდუქციის გამოშვება	დამატებული ღირებულება
ქ.თბილისი	52.8	53.3	54.9
აჭარის არ	13.2	14.1	13.7
გურია	1.3	1.5	1.6
იმერეთი	8.5	8.1	8.3
კახეთი	4.6	4.1	3.7
მცხეთა-მთიანეთი	1.8	2	1.9
რაჭა ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი	0.4	0.5	0.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.9	5.4	5
სამცხე-ჯავახეთი	1.8	1.7	1.7
ქვემო ქართლი	6.1	5.7	5.6
შიდა ქართლი	4.5	3.7	3.3

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით

თითქმის იგივე მდგომარეობაა პროდუქციის გამოშვების და დამატებული ღირებულების განაწილების მიხედვითაც, სადაც კვლავ თბილისი დომინირებს (შესაბამისად, 53,3% და 54,9%).

ანალიზმა ცხადყო ასევე შემდეგი: ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს დედაქალაქსა და სხვადასხვა რეგიონებში მცირე ბიზნეს სექტორის საწარმოები განსხვავებული დატვირთვით გამოირჩევიან. მაგალითად, თბილისში მცირე საწარმოებზე მოდის ბიზნეს-სექტორის ბრუნვის 12,6%, ხოლო მცირე ზომის რეგიონებში ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (მაგ., გურიაში 60,1%, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 82,6%, შიდა ქართლში - 49,5%).


გამოშვებული პროდუქციის მიხედვით მცირე საწარმოთა ხვედრითი წილი მაქსიმალურია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 77,5% და მინიმალურია ქვემო ქართლში - 19,5%.

დამატებული ღირებულების მიხედვითაც განსხვავებული მდგომარეობაა. ყველაზე მეტი დამატებული ღირებულება იქმნება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის მცირე საწარმოებში (80,2%). მაღალია ეს მაჩვენებელი გურიაში (63%), კახეთში (52,7%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (41%).

ჩვენ გავაანალიზეთ ასევე მცირე საწარმოების ფუნქციონირების სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (იხ.ნახ. 1).

ნახაზი 1

მცირე საწარმოების ფუნქციონირება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება (%-ად მთლიანთან, 2022 წელი)



ანალიზმა გვიჩვენა, რომ რეგიონებში მცირე ბიზნეს სექტორში პრიორიტეტულია ეკონომიკური საქმიანობის ოთხი სახეობა: რემონტი, მშენებლობა, დამამუშავებელი მრეწველობა და ტრანსპორტი და დასაწყობება.

ბრუნვის მიხედვით წამყვანია რემონტი და მშენებლობა (საერთო ბრუნვის 65,6%). შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვთ დამამუშავებელ მრეწველობას (9,8%) და ტრანსპორტსა და დასაწყობებას (8,2%). პროდუქციის გამოშვების მიხედვით საქმიანობის სახეების დომინანცია არ იცვლება, თუმცა ხვედრითი წილები იცვლება: გამოშვებულ პროდუქციაში რემონტი და მშენებლობა იჭერს 44,1%-ს, დამამუშავებელ მრეწველობა გაზრდილია და 16,4%-ს, ხოლო ტრანსპორტისა და დასაწყობების წილი 11,4%-ია. დამატებული ღირებულების მიხედვით თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა, რაც გვაქვს პროდუქციის გამოშვების მიხედვით.

მოგება-ზარალის ანალიზმა ცხადყო შემდეგი: მცირე საწარმოებს შორის ზარალიანი იყო მხოლოდ ეკონომიკის საქმიანობის სახე სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა, რომელშიც 2022 წლის შედეგებით ზარალმა 33,6 მლნ ლარი შეადგინა. დანარჩენი საქმიანობის სახეებში (16 სახე-

ობა) ყველგან მოგება დაფიქსირდა.

2022 წლის მიხედვით მცირე საწარმოთა ძირითადმა კაპიტალმა 9624,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც ბიზნესში ჩართული მთელი კაპიტალის 20,6%-ია. ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ძირითადი კაპიტალის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში (89,2%) და კახეთში (56,1%).


ტერიტორიულ ჭრილში ძირითადი კაპიტალის ყველაზე დიდ მოცულობას იყენებს თბილისის მცირე ბიზნესის სექტორი (44,9%), ასევე შედარებით მაღალია აჭარაში (19,1%) და კახეთში (9,5%).

მნიშვნელოვანია მცირე საწარმოთა წვლილი დასაქმებაში. რეგიონულ ჭრილში განსხვავებული ვითარებაა: თბილისის მცირე საწარმოებში დასაქმებულია ბიზნეს სექტორის მხოლოდ 28,1%, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 86,6%, გურიაში - 72,5%, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 70,7%. თუმცა, ქვეყნის მცირე ბიზნესის სექტორში დასაქმებულთა 57,6% მხოლოდ თბილისსა და აჭარის არ-ზე მოდის.

ეკონომიკური საქმიანობის სახეებს შორის ყველაზე დიდი დამსაქმებელია „ვაჭრობა და ავტომობილების რემონტი“. დამამუშავებელ მრეწველობა და მშენებლობა 10-11%-იან სეგმენტს იჭერს.

ნახაზი 2

მცირე ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (2022 წელი, %-ად მთლიანთან)



როგორც აღვნიშნეთ, მცირე ბიზნესში დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება (1187 ლარი) მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელს და მის მხოლოდ 74%-ს შეადგენს. ასიმეტრია შეინიშნება დედაქალაქსა და რეგიონებს შორისაც. თბილისში, მცირე ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი 1536,5 ლარია, ხოლო რეგიონებში იგივე მაჩვენებლის ხვედრითი წილი დედაქალაქთან შედარებით 46-60%-მდე დიაპაზონშია.

დასკვნები

1. მნიშვნელოვანია მცირე საწარმოების როლი დასაქმებაში და აქედან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. ამ სექტორში დასაქმებულთა ბიზნესში ჩართულთა თითქმის 40%.
2. ჯერ კიდევ დაბალია მცირე ბიზნესში დასაქმებულთა შრომის საშუალოთვიური ანაზღაურება, რომელიც ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის 74%-ს შეადგენს.

3. დასაქმებულთა შრომის საშუალოთვიურ ანაზღაურებაში ასიმეტრია შეინიშნება დედაქალაქსა და რეგიონებს შორისაც. რეგიონების მაჩვენებელი თბილისის მონაცემის მხოლოდ 46-60%-ს შეადგენს;
4. მიგვაჩნია, რომ რეგიონების არასიმეტრიულ განვითარებას და უთანაბრობას მცირე ბიზნესის რეგიონებში განვითარების ასიმეტრიულობაც განაპირობებს, რაც კონკრეტულ მაჩვენებლებში ვლინდება;
5. ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით სხვადასხვა რეგიონებში მცირე ბიზნეს სექტორის საწარმოები განსხვავებული დატვირთვით გამოირჩევიან. დედაქალაქის მცირე საწარმოებზე მოდის ბიზნეს-სექტორის ბრუნვის შედარებით დაბალი ხვედრითი წილი, ხოლო მცირე ზომის რეგიონებში ეს მაჩვენებელი 4-5-ჯერ მაღალია;
6. ნიშანდობლივია, რომ მცირე ბიზნესი დასაქმების (310,4 ათასი კაცი) მნიშვნელოვანი სეგმენტია, რომელიც იმდენივეს ასაქმებს ქვეყანაში, რამდენსაც მსხვილი ბიზნესი.

7. მცირე საწარმოთა ძირითადი კაპიტალი ბიზნესში ჩართული მთელი კაპიტალის მხოლოდ მეხუთედს შეადგენს, რაც ამ სექტორში წარმოებული დამატებული ღირებულების დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს. ამ მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან მეტი მხარდაჭერაა საჭირო ინოვაციების განხორციელების მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური. ბიზნეს სექტორი საქართველოში - 2022. თბ., 2023, -140 გვ. <https://www.geostat.ge/media/58575/Business-sector-in-Georgia-2023.pdf>
2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური. რეგიონული სტატისტიკა. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>
3. ჩიხლაძე ნ., საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ტენდენციების განსაზღვრის საკითხისათვის. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერ-

სიტეტის დაარსებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი სსკპ შრ. კრებული. ქუთაისი, 2013. გვ. 268-272

4. გოგიაშვილი ო. (2013) მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. ქუთაისი;
5. ცეცხლაძე ლ., (2012) მცირე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სტრატეგია თანამედროვე საბაზრო სისტემაში (ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3291_1.pdf
6. კურდღელია ნ., (2021) მიზნობრივი პროგრამების როლი საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. (ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია). ქუთაისის უნივერსიტეტი.
7. საქართველოს კონსტიტუცია. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

Analysis of the regional structure of the small business sector of Georgia

Natia Kurdgelia

PhD in Economics, Invited Lecturer at Vocational Educational Center of Akaki Tsereteli State University natiakurdgelia1976@gmail.com

Keywords: *Small Business; region; economic activity; employment; turnover*

J.E.L. classification: M21, R1


DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.05>

For Citation: Kurdgelia N., (2024) Analysis of the regional structure of the small business sector of Georgia (in Georgian). Economic Profile, V.19, issue 1(27). p. 64–71. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.05>

Summary: After gaining independence, deepening and promoting business relations based on private property became the main priority of the country. In this regard, for a country of the size and economic potential of Georgia, one of the main vectors is aimed at the development of small enterprises. Over the past three decades, the development of this business sector has not been uniform and has been full of contradictions. The problem is real, therefore the presented article is devoted to the analysis of the regional structure of the

small business sector in Georgia. In particular, along with the main indicators of the small business sector, the article discusses the related regional specificities, such as data analysis of the turnover of production in small enterprises, output of products, added value, fixed capital, distributed profit and employment, which are also considered in terms of types of economic activity. All of the above above-mentioned factors lend relevance to the presented paper.

Distribution of the indicator of small enterprises according to the regions of Georgia (2022, %)



Economic reforms since gaining independence have always implied the promotion of small business development. Accordingly, the scale of small business development was changing, and at one or another stage of economic development, the specificities of the regional development of this sector were identified.

In 2022, the turnover of production in the business sector in Georgia exceeded 33.3 billion GEL, 18.3% of which accounts for the small business sector. Its specific share in production and added value are 27.7 and 27.3%, respectively. It is relatively modest in production costs and sales prices (17.5%).

Small enterprises play an important role in employment and, therefore, in solving socio-economic problems. Almost 40% of those engaged in business are employed in this sector. The research

revealed that:

1. The average monthly wage of employees in small business is still low, and is 74% of the national average.
2. Asymmetry in the average monthly wage of employees is observed between the capital and regions. The indicator of the regions is only 46-60% of the data of Tbilisi;
3. We believe that the asymmetric development of the regions and the inequality are due to the asymmetry of the development of small businesses in the regions, which is manifested in specific indicators;
4. According to the types of economic activity, enterprises of the small business sector in different regions are characterized by different workloads. Small enterprises in the capital have a relatively

low specific share of the turnover of production in the business sector, while in small regions this indicator is 4-5 times higher;

5. It is noteworthy that small businesses are an important segment of employment (310.4 thousand people), which employs as many people as large businesses in the country.
6. The fixed capital of small enterprises is only one fifth of the total capital involved in the business, which causes a low rate of added value produced in this sector. In this regard, more support from the state is needed in the direction of fostering innovation.

Reference:

1. National Statistics Office of Georgia. Business sector in Georgia: 2023. Tbilisi, 2023. – 139 p. URL: <https://www.geostat.ge/media/58575/Business-sector-in-Georgia-2023.pdf>
2. National Statistics Office of Georgia. Regional Statistics. URL: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/93/regional-statistics>
3. Chikhladze N., (2013) For the issue of determining the development trends of small and medium entrepreneurship in Georgia. Akaki Tsereteli State University. Collection of proceedings of the conference dedicated to the 80th anniversary of the university's foundation. p. 268-272.
4. Gogiashvili O. (2013) Problems of small and medium businesses and ways to solve them in Georgia. Kutaisi;
5. Tsetskhladze L., (2012) Small business organization and management strategy in the modern market system (dissertation submitted for obtaining the degree of Ph.D. in business administration). Batumi Shota Rustaveli State University. URL: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3291_1.pdf
6. Kurdgaliya N., (2021) The role of targeted programs in the development of small and medium businesses in Georgia. (Dissertation submitted for obtaining the degree of Ph.D. in Economics). Kutaisi University.
7. Constitutional Court of the Republic of Georgia. URL: <https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=36>

მოსახლეობის აღწერა - მდგრადი განვითარების მონიტორინგის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ქუთაისის უნივერსიტეტი. naira.virsaladze@atsu.edu.ge

მალვინა ყიფიანი

ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, marina.kipiani.53@mail.ru

საკვანძო სიტყვები: მოსახლეობის აღწერა; მდგრადი განვითარება; ეროვნული ინდიკატორები

J.E.L. classification: J10, O20

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.08>

ციტირებისთვის: ვირსალაძე ნ., ყიფიანი მ., (2024) მოსახლეობის აღწერა - მდგრადი განვითარების მონიტორინგის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ეკონომიკური პროფილი, ტ. 19, 1(27), გვ. 72-78. DOI:<https://doi.org/10.52244/ep.2024.27.08>

ანოტაცია. მოსახლეობის აღწერას ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც ცივილიზაციას. თანამედროვე მსოფლიოში გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა სწორედ დემოგრაფიული ვითარებაა და შესაბამისად, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, საქართველოშიც მოსახლეობის აღწერებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აღწერების სიხშირე და ძირითადი მახასიათებლები სხვადასხვა დროში განსხვავებული მიზნითა და ინტერესით ხდებოდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2002 და 2014 წლებში ჩატარდა. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები 2024 წლის მესამე საყოველთაო აღწერისათვის. იგი ეყრდნობა გაეროს მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას და მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული ინდიკატორების გათვალისწინებით საკმაოდ ახალი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მოპოვებას ითვალისწინებს. შესაბამისად, მისი წარმატებით ჩატარება გახდება მნიშვნელოვანი წინაპირობა, როგორც მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების მონიტორინგისათვის, ისე 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებისათვის.

შესავალი

მსოფლიოში არსებულ გლობალურ პრობლემებს შორის დემოგრაფიული პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკმაოდ აქტუალურია. თემა დიდ ინტერესს იწვევს როგორც დემოგრაფიული საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევართა შრომებში, ასევე ფართო საზოგადოებაში. აღნიშნული საკითხი ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და გადაწყვეტია, რადგან იგი უკავშირდება მოსახლეობის როგორც რაოდენობრივ, ისე სტრუქტურულ პარამეტრებს, რაც საბოლოოდ აისახება მოსახლეობის აღწარმოებაში ანუ თაობათა ცვლის პროცესში. მოსახლეობასა და მასში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა.

მოსახლეობის აღწერა მეცნიერულად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვებაა და მისი ჩატარება სახელმწიფოს ფუნ-

ქციას წარმოადგენს. სახელმწიფო ახორციელებს აღწერის სამართლებრივ რეგლამენტაციას შესაბამისი კანონების საფუძველზე.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში, ისევე როგორც საქართველოში მოსახლეობის აღწერებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აღწერების სიხშირე და ძირითადი მახასიათებლები სხვადასხვა დროში განსხვავებული მიზნითა და ინტერესით ხდებოდა. მიზანს არსებული სიტუაცია განაპირობებდა და შესაბამისად აღწერებოდა ის ძირითადი მაჩვენებლები, რაც იმ დროისათვის აინტერესებდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. ზოგჯერ აღწერა მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიას მოიცავდა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ აღწერა საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდეც ტარდებოდა, მაგრამ ამის შესახებ ცნობები ჩვენამდე მოღწეული არ არის. მოღწეული ცნობებით პირველი აღწერა საქართველოში მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარებულა. სუმბათ დავითის-ძის ქრონიკებში აღნიშნულია, რომ ქვეყანა ქართლისა, აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს. ეს ერის მთვარ სტეფანოზის დროს მომხდარა. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ აღწერის მონაცემები „საბერძნეთს წარიღეს“, ჩვენ მათ შესახებ აღარაფერი შემოგვრჩა (ლორთქიფანიძე, 2018:55).

აკად. პაატა გუგუშვილის გამოკვლევით, სწორედ მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში აღუწერიათ ქართლი, შეუდგენიათ მიწის კადასტრი. ვინაიდან ამ დროისათვის მიწის აღწერასთან ერთად, ხალხის აღწერაც ხდებოდა, საქართველოში მოსახლეობის აღწერების დასაწყისად მე-7 საუკუნე უნდა მივიჩნიოთ (გუგუშვილი, 1973:176). ისტორიული წყაროების მიხედვით აღწე-

რები დავით აღმაშენებლის დროს, მე-11 საუკუნეშიც მიმდინარეობდა. ცნობილია მონღოლების მიერ საქართველოს აღწერის ფაქტი 1254 წელს. აღიწერა საქართველოს მოსახლეობის მამრობითი სქესის მოსახლეობა 15-16 წლის ასაკისა. მოსახლეობასთან ერთად მოხდა პირუტყვის, ყანების, ვენახების და სხვა აღწერები. აღწერის შედეგად მონღოლებმა 90 ათასი მეომარი შეაწერეს საქართველოს. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ იმ დროისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 5 მლნ-მდე მცხოვრები ყოფილა (გამყრელიძე, 1955:94). მე-17 საუკუნიდან საქართველოში მოსახლეობის აღწერებმა პერიოდული ხასიათი მიიღო. აღწერის შესახებ ცნობებს დავთარი ერქვა. აღწერა ეფუძნებოდა ქართლის დაყოფას სადროშოებად. სადროშოს სარდალი ვალდებული იყო აღწერა ჩაეტარებინა ყოველ 7 წელიწადში ერთხელ (ჯავახიშვილი, 1930:19).

ისტორიული წყაროების მიხედვით მეცნიერულად ორგანიზებული აღწერები საქართველოში XIX საუკუნის ბოლოდან იწყება. მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა თარიღდება 1897 წლით, როდესაც საქართველო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით შედიოდა რუსეთის იმპერიაში. მიუხედავად იმისა, რომ აღწერის მასალები შეკვეცილი პროგრამით დამუშავდა, იგი საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში ჩატარებული ექვსი აღწერა (1926, 1939, 1959, 1970, 1979, 1989 წ.წ.) მიუთითებს, რომ ქვეყანაში რეგულარულად მიმდინარეობდა მოსახლეობის აღწერები, მაგრამ საქართველო მასში მონაწილეობდა არა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ, როგორც საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი რეგიონ-

ნი. 1989 წლის აღწერას ერთგვარი ისტორიულ-დემოგრაფიული მნიშვნელობა და დატვირთვაც აქვს, რამდენადაც 1989 წელი ქრონოლოგიურად მიჯნავს ერთმანეთისაგან საბჭოთა და დამოუკიდებელ საქართველოს. მისი შედეგები ყოველთვის დარჩება შესადარ ბაზად, რომელიც საშუალებას იძლევა გამოავლინოთ ყველა ის მნიშვნელოვანი და სერიოზული ცვლილებები, რაც ქვეყანამ ბოლო ათწლეულებში გადაიტანა (ვირსალაძე, 2013:112).

2001 წელს მიღებულ იქნა კანონი „მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ“ (2010 წლიდან ძალადაკარგულია). ამ კანონით განისაზღვრა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მომზადების, ჩატარების, მოპოვებული მასალის დამუშავების, შედეგების გამოქვეყნებისა და გავრცელების სამართლებრივი საფუძვლები. კანონის მიხედვით, „მოსახლეობის აღწერა არის განსაზღვრულ დროში ქვეყნის მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების მახასიათებელი მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შეფასების, ანალიზის, განზოგადებისა და გამოქვეყნების საერთო პროცესი“ (მუხლი 1-ა).

საქართველოში, როგორც გაეროს სხვა წევრ ქვეყნებში, მოსახლეობის აღწერა ტარდება გაეროს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით - უნიფიცირებული, სტანდარტული და ნორმატიული მაჩვენებლების შესაბამისად, რაც საშუალებას იძლევა მთელმა მსოფლიომ „ისაუბროს“ ერთიან და გასაგებ ენაზე, თუ როგორია დემოგრაფიული ვითარება მსოფლიოში და მის ცალკეულ რეგიონებში, რა პრობლემები იკვეთება დემოგრაფიული თვალსაზრისით, რა არის ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები და როგორ შეიძლება მათი გადაჭრა (შემსუბუქება), შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით.

აღწერებით მიღებული მონაცემების გამოყენების არეალი გვაჩვენებს, რომ თანამედროვე გლობალურ სამყაროში აღწერების როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის 2020 წლის რაუნდისათვის“, რომელიც მოამზადა გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ (UNECE) 2015 წელს. საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების და ევროსტატის ერთობლივი მუშაობის შედეგად მოხდა რეკომენდაციებში შესული მეთოდოლოგიის მიმოხილვა, რომელიც დამტკიცდა ქვეყნების მიერ 2020 წლის აღწერის რაუნდისათვის. მოცემული რეკომენდაციებთან ერთად დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია იმ მონაცემებზე, რომლებიც მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის რაუნდში ქვეყნებმა უნდა მიიღოს: მოსახლეობა; მისი გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ეკონომიკური მახასიათებლები; სოფლის მეურნეობა, განათლება, მიგრაცია, ეთნო-კულტურული მახასიათებლები, შეზღუდული შესაძლებლობები, შინამეურნეობისა და ოჯახის მახასიათებლები და საცხოვრისის მახასიათებლები.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თანამედროვე აღწერით მიღებული მონაცემები წარმოადგენს ერთადერთ წყაროს, რომელიც შეიცავს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით დახარისხებულ ინფორმაციას მოსახლეობის რაოდენობის, ინდივიდებისა და შინამეურნეობების მახასიათებლებზე, რაც მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, ამასთან ერთად, ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივ დონეზე, ქვეყნის შიგა რეგი-

ონული განვითარებისთვის.

მოსახლეობის 2024 წლის აღწერა გაეროს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით ტარდება და მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული ინდიკატორების გათვალისწინებით საკმაოდ ახალი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მოპოვებას ითვალისწინებს. შესაბამისად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სახელისუფლებო ორგანიზაციების ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს აღწერის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩასატარებლად, რათა მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ხარისხიანი ინფორმაცია და მასზე დაყრდნობით გაანგარიშებული სტატისტიკური მაჩვენებლები ასახავდეს რეალურ სინამდვილეს. ამასთან ერთად, აღწერის მონაცემების გამოყენება უნდა მოხდეს შესაძლებლობების განვითარების, მოსახლეობის ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი დინამიკის, ასევე სივრცითი და სოციალური უთანასწორობის დადგენის მიზნით, მათ შორის, მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებისა და მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის (ICPD) ინდიკატორების განსაზღვრის მიზნით. მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის საფუძველზე მდგრადი განვითარების 201 ეროვნული ინდიკატორიდან 93 ინდიკატორს, ანუ 46%-ს პირდაპირ და არაპირდაპირ ფარავს მოსახლეობის აღწერით მიღებული ინფორმაცია. შესაბამისად, მისი წარმატებით ჩატარება გახდება მნიშვნელოვანი წინაპირობა, როგორც მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების მონიტორინგისათვის, ისე 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებისათვის.

საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი მონაცემების შეგროვება 14 ნოემბრიდან 19 დეკემ-

რამდე იგეგმება. სიახლეა ის, რომ 2024 წლის მოსახლეობის აღწერასთან ერთად ჩატარდება სასოფლო-სამეურნეო აღწერაც. ასე, რომ დემოგრაფიულ და სოციალურ მონაცემებთან ერთად ინფორმაცია შეგროვდება საქართველოს შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობების შესახებაც.

2024 წლის აღწერა მოგვცემს მნიშვნელოვან და მრავალმხრივ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების შესაფასებლად, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების მკაფიოდ დასანახად. ამასთან ერთად, ქვეყანას ექნება რეალური შესაძლებლობა იმისა, უფრო კონკრეტულად და მეტი სიზუსტით განსაზღვროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრიორიტეტები და შესაბამისად, გამჭირვალე და სრულფასოვანი ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას.

დასკვნა

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საკმაოდ მნიშვნელოვან, ურთულეს და ძვირადღირებულ სტატისტიკურ ოპერაციას წარმოადგენს. იგი ფართო სოციალურ-პოლიტიკური და მრავალმხრივი სამეურნეო და დემოგრაფიული ნიშნების მატარებელია. აღწერის მასალები ერთობ მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნით გათვალისწინებული აქტივობების შესაფასებლად.

ცხადია, რომ აღწერის შედეგად მიღებული ინფორმაცია საჭირო და პრაქტიკულად გამოსაყენებელია როგორც მიკრო და ადგილობრივ დონეზე, ასევე მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების გამოსათვლელად. მოსახლეობის აღწერის მასა-

ლები ერთადერთი სრულფასოვანი ინფორმაციაა მოსახლეობის როგორც რაოდენობაზე, ასევე ინდივიდებზე, მათი შინამეურნეობების დახასიათების ჩათვლით.

გაეროს მიერ შემუშავებული მოსახლეობის აღწერის ახალი მეთოდოლოგია და შესაბამისად გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) აღწერის კითხვარი ითვალისწინებს მთელ რიგ სიახლეებს, რომელიც ეხება მიგრაციის სტატუსს, შეზღუდულ შესაძლებლობებს, ქორწინების ტიპს და ქორწინების რეგისტრაციას. სიახლეები გათვლილია მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისად (ჭელიძე, 2022).

2024 წლის აღწერის მონაცემთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმ საბაზო მონაცემთა სისტემის შექმნის საფუძველი გახდება, რომლითაც 2030 წლისათვის უნდა მოხდეს სოციალური და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი ძირითად მაჩ-

ვენებლების გაანგარიშება და პროგნოზირება.

ლიტერატურა:

1. გუგუშვილი პ., (1973) საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, თბილისი.
2. გამყრელიძე გ., (1955) დემოგრაფიული სტატისტიკა, თბილისი.
3. ვირსალაძე ნ., (2013) აღწერა-მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლის ძირითადი წყარო, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ქუთაისის უნივერსიტეტი. URL: <https://unik.edu.ge/PagePDF/conf/konf-2013.pdf>
4. ლორთქიფანიძე ვ., (2018) დემოლოგია. თბილისი.
5. ჭელიძე ზ., (2022) მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ეროვნული ინდიკატორები და საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2024. თბილისი.
6. ჯავახიშვილი ივ., (1930) საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბილისი.
7. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური - www.geostat.ge

Census of population – the important tools of sustainable development monitoring

Naira Virsaladze

Doctor of Economics, associate professor of Akaki Tsereteli State University, associate Professor of Kutaisi University, naira.virsaladze@atsu.edu.ge

Mavlina Kipiani

associate Professor of Kutaisi University, marina.kipiani.53@mail.ru

KEY WORDS: *population census; sustainable development; national indicators*

J.E.L. classification: J10, O20

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.08>

For citation: Virsaladze N., Kipiani M., (2024) Census of population – the important tools of sustainable development monitoring (in Georgian). Economic Profile, Vol. 19, 1(27), p. 72–78. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.08>

Summary: Among the global problems in the world, one of the important topics is the demographic situation. Basic and accurate parameters of the demographic situation are collected during the census, that is why the general population census is an event of national importance.

Like the rest of the world, population censuses in Georgia have a centuries-old history. The frequency and main characteristics of the censuses were conducted at different times with different purposes and interests.

The so-called 1989 The union census was the last for Soviet Georgia. It has a kind of historical-demographic significance and load. The year 1989 chronologically separates Soviet and independent Georgia. After gaining independence, a general population census was conducted in Georgia in 2002 and 2014. Currently, preparatory works for the third general census of 2024 (November-December) are underway.

It is based on the methodology developed by the United Nations and is conducted in accordance with unified, standard and normative indicators. The introduction of a whole series of innovations is designed for sustainable development in accordance with the task of the 2030 agenda.

The use of census data shows us that the role and importance of censuses in the modern global world has grown even more. The "Recommendations of the Conference of European Statisticians for the 2020 Round of the Population and Housing Census", which was prepared by the United Nations Economic Commission for Europe (UNECE) for the 2015 round, is particularly noteworthy. The recommendations addressed such important aspects of the population census as data privacy and security, legislation, definitions of terms, phases of the census, publication and dissemination of results, quality assurance and quality management, and technologies used in the census process. Along with the given

recommendations, the document focuses on the list of data that countries should receive in the 2020 round of population and housing census, namely: population, its geographical, demographic and economic characteristics; Agriculture, education, migration, ethno-cultural characteristics, disabilities, household and family characteristics and housing characteristics. The census of 2024 will provide us with important and versatile information, which is necessary to assess the demographic situation in the country, to clearly see the existing problems and challenges.

country will have a real opportunity to determine the main priorities of socio-economic development more specifically and with greater accuracy. Accordingly, to provide accurate and complete information to the population.

The new population census methodology developed by the United Nations and, accordingly, the United Nations Population Fund (UNFPA) includes a number of innovations in the census questionnaire, which deals with immigration status, disabilities, type of marriage and marriage registration. The introduction of innovations is designed for sustainable development in accordance with the task of the 2030 agenda.

An important part of the data will become the basis for the creation of the basic data system, which will be used to calculate and forecast a number of key indicators of social and sustainable economic development by 2030.

References:

1. Gugushvili P., (1973) Issues of Population Development of the Georgian SSR, Tbilisi, p. 176.
2. Gamkrelidze G., (1955) Demographic Statistics, Tbilisi, p.94.
3. Virsaladze N., (2013) Description - the main source of statistical study of the population, materials of the international scientific-practical conference, Kutaisi University, October 26-27, pp.

- 111-113. URL:
<https://unik.edu.ge/PagePDF/conf/konf-2013.pdf>
4. Lortkifanidze V., (2018) Demology, Tbilisi, p. 53-60.
 5. Chelidze Z., (2022) Sustainable Development Goals (SDG) national indicators and population census of Georgia 2024, Tbilisi.
 6. Javakhishvili I., (1930) Economic history of Georgia, Tbilisi, p., 19.
 7. National Statistics Office of Georgia - www.geostat.ge

ცესი. ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით ხდება სხვადასხვა დაავადებების კლასიფიკაცია სურათების, ბგერების ან მონაცემთა ნებისმიერი წყაროს საფუძველზე. მისი დახმარებით, ასევე ხორციელდება დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობის ვარიანტების ძიება.

დიდი პროგრესია მიღწეული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში დერმატოლოგიაში, კერძოდ, შემუშავებულ იქნა კლასიფიკაციის მოდელები, რომლებიც ექიმებს ეხმარებიან კანის კიბოს, კანის დაზიანებების, ფსორიაზის, კერატინოციტური კარცინომის დიაგნოსტიკაში (Hekler და სხვ., 2019).

ხელოვნური ინტელექტი არსებით როლს ითამაშებს მომავალში მედიცინის გაძლიერებაში, რადგან ახდენს პაციენტებისა და ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ დაფიქსირებული დიდი რაოდენობისა და სხვადასხვა ფორმის მონაცემების ანალიზს. ხელოვნური ინტელექტს შეუძლია შეამციროს ექიმების ტვირთი და გააუმჯობესოს მათი ანალიზის უნარი (Pinto dos Santos და სხვ., 2019).

დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევამ, სადაც მამოგრაფიული დასკვნების სხვადასხვა ნიმუში იქნა შეტანილი, აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შედეგად მამოგრაფიის ინტერპრეტაციის ცრუ დადებითი და ცრუ უარყოფითი მაჩვენებლები 5.7%-დან 9.4%-მდე შემცირდა (McKinney და სხვ., 2020). სამხრეთ კორეაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით უფრო სწორად იყო დასმული მკერდის კიბოს დიაგნოზი, ვიდრე რადიოლოგების მიერ (90%, 78%-თან საპირწონედ).

აქედან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სამედიცინო პრაქტიკაში,

კერძოდ გააუმჯობესოს დიაგნოსტიკის სიზუსტე, დაზოგოს ხარჯები და დრო ტრადიციულ დიაგნოსტიკურ მეთოდებთან შედარებით. ასევე, ხელოვნური ინტელექტს აქვს შესაძლებლობა გახადოს კლინიკურ ლაბორატორიული ტესტირება უფრო ზუსტი, სწრაფი და ეფექტური. საყურადღებოა, რომ ჯანდაცვის სექტორში, დიაგნოსტიკის პროცესში მიღებული შეცდომები წარმოადგენს ყველაზე დიდ პრობლემას. ხელოვნური ინტელექტს შეუძლია როგორც დიაგნოსტიკური შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა, ასევე პაციენტებში სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა (Ramesh და სხვ., 2004).

კვლევები ადასტურებენ, რომ მიუხედავად ხელოვნური ინტელექტის უამრავი უპირატესობისა ადამიანის შესაძლებლობებთან შედარებით, ხელოვნური ინტელექტი მხოლოდ დამხმარე საშუალებაა და არა მთავარი (Ramesh და სხვ., 2004). ხელოვნური ინტელექტი არ არის ექიმი, რომელიც განკურნავს ყველა დაავადებას, არამედ წარმოადგენს დამხმარე საშუალებას, რომ ექიმებმა უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღონ.

ხელოვნური ინტელექტის შემდგომი მიღწევები მნიშვნელოვან განვითარებას მოახდენს დაავადებების პროგნოზირებაში, რისკების შეფასებასა და პაციენტის მკურნალობის გაუმჯობესებაში. ხელოვნური ინტელექტის პოტენციური გავლენა აშშ-ის ჯანდაცვის სისტემაზე ყოველწლიურად დაახლოებით 100 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

საყურადღებოა, რომ საზოგადოებაში ხელოვნური ინტელექტის აღქმა საჭიროებს მეტ ნდობას, რაც გადაამწყვეტია სამედიცინო პრაქტიკაში მისი წარმატებული ინტეგრაციისთვის. ჯანმრთელობის მიზნებისთვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენე-

ბის ზოგადი სურვილის მიუხედავად, ადამიანები მაინც უპირატესობას ანიჭებენ ექიმ-პრაქტიკოსებს.

მედიცინაში ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელოვანი მეთოდია ხელოვნური ნერვული ქსელები. ხელოვნური ნერვული ქსელები არის გამოთვლითი ანალიტიკური ხელსაწყოები, რომლებიც შთაგონებულია ბიოლოგიური ნერვული სისტემით. ისინი შედგება ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერული პროცესორებისაგან, ე.წ. "ნეირონებისაგან", რომლებსაც შეუძლიათ პარალელური გამოთვლები მონაცემების დასამუშავებლად. ხელოვნურ ნერვულ ქსელებს აქვთ უნარი ისწავლონ ისტორიული მაგალითებიდან, გააანალიზონ არაწრფივი მონაცემები, დაამუშავონ არაზუსტი ინფორმაცია და განაზოგადონ, რაც ძალიან მიმზიდველ ანალიტიკურ ინსტრუმენტად აქცევს სამედიცინო სფეროში. ხელოვნური ნერვული ქსელები ფართოდ გამოიყენება მრავალი კლინიკური პრობლემის გადასაჭრელად.

ხელოვნური ინტელექტის როლი ჯანდაცვის სფეროში დიდია, კერძოდ, დიაგნოსტიკაში, მედიკამენტების არჩევის, დოზირების და ინდივიდუალური მკურნალობის განსაზღვრაში, თუმცა, მნიშვნელოვანია ვახსენოთ, რომ ზუსტი დიაგნოსტიკისთვის, მედიკამენტების დოზირებისთვის და უსაფრთხოებისთვის საჭიროა პაციენტის ზუსტი მონაცემები, ადამიანური რესურსი და პროცესების უწყვეტი ზედამხედველობა.

აუცილებელია სამედიცინო განათლების მიღება ხელოვნური ინტელექტის შესახებ, რადგან მომავალ ექიმებს მოუწევთ პაციენტებს გაუწიონ სამედიცინო მომსახურება ჯანდაცვის სრულიად განსხვავებულ პირობებში. ხელოვნური ინტელექტი ფლობს პოტენციალს, მოახდინოს გარდაქ-

მნა ჯანდაცვის სისტემაში, თუმცა, ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის საჭიროა რამდენიმე გამოწვევის გადაჭრა, ესენია: სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსის აუცილებლობა, ხარისხიანი სამედიცინო მონაცემების შეგროვება, რისი ნაკლებობაც იწვევს შედეგების უზუსტობას, პაციენტების მონაცემთა კონფიდენციალურობის და ხელმისაწვდომობის გათვალისწინება, რაც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას არ არის დაცული და შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში იწვევს ადამიანების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისგან თავის არიდებას (West და სხვ., 2019).

დასკვნა

ჯანდაცვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის სრული პოტენციალის მისაღწევად აუცილებელია პოტენციური ხარვეზების გააზრება და მოგვარება, რაც გულისხმობს ხელოვნური ინტელექტის სისტემების მკაცრ ტესტირებას, რათა თავიდან იქნას აცილებული პოტენციური პრობლემები. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის სისტემების უწყვეტი შეფასება აუცილებელია დროთა განმავლობაში მათი მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერულ მეცნიერებსა და ჯანდაცვის პროვაიდერებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკული და წარმატებული განხორციელებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Buch VH, Ahmed I, Maruthappu M. Artificial intelligence in medicine: Current trends and future possibilities. *Br J Gen Pract* 2018; 68(668): 143-4.
2. Hekler A, Utikal J, Enk AH, Hauschild A, Weichenthal M, Maron RC, et al. Superior skin cancer classification by the combination of human and artificial intelligence. *Eur J Cancer*. 2019;120:114-21.
3. Kim H-E, Kim HH, Han B-K, Kim KH, Han

- K, Nam H, et al. Changes in cancer detection and false-positive recall in mammography using Artificial Intelligence: a retrospective, Multireader Study. *Lancet Digit Health*. 2020;2(3). [https://doi.org/10.1016/s2589-7500\(20\)30003-0](https://doi.org/10.1016/s2589-7500(20)30003-0).
4. McKinney SM, Sieniek M, Godbole V, Godwin J, Antropova N, Ashrafian H, et al. International evaluation of an AI system for breast cancer screening. *Nature*. 2020;577(7788):89–94. <https://doi.org/10.1038/s41586-019-1799-6>.
 5. Pinto dos Santos D, Giese D, Brodehl S, Chon SH, Staab W, Kleinert R, et al. Medical students' attitude towards Artificial Intelligence: a multicentre survey. *Eur Radiol*. 2018;29(4):1640–6. <https://doi.org/10.1007/s00330-018-5601-1>.
 6. Ramesh AN, Kambhampati C, Monson JR, Drew PJ. Artificial intelligence in medicine. *Ann R Coll Surg Engl*. 2004 Sep;86(5):334–8. doi: 10.1308/147870804290.
 7. Ting DSW, Pasquale LR, Peng L, et al. Artificial intelligence and deep learning in ophthalmology. *Br J Ophthalmol* 2019; 103: 167-75.
 8. West SM, Whittaker M, Crawford K. *Discriminating Systems: gender, race and power in AI*. AI Now Institute; 2019.

The role of artificial intelligence in the development of medical services - the context of the health care system

Tengiz Verulava

Doctor of Medicine, Professor of Caucasus University, tverulava@cu.edu.ge

KEY WORDS: diagnostics; medical service; disease prediction, artificial intelligence

J.E.L. classification: I10, I15

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.02>

For citation: Verulava T., (2024) The role of artificial intelligence in the development of medical services - the context of the health care system (in Georgian). Economic Profile, Vol. 19, 1(27), p. 79–84. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2024.27.02>

Summary: The use of artificial intelligence in the field of medicine is increasing year by year. Through AI's work with large volumes of data, AI can identify diseases much faster and more accurately than humans. Also, artificial intelligence makes it possible to speed up the process of creating new medicines. Through artificial intelligence, various diseases are classified based on images, sounds or any data source. With its help, diseases are also diagnosed and treatment options are found.

Artificial intelligence can reduce the burden on doctors and improve their analytical skills. Collaboration between physicians and artificial intelligence has the greatest potential to improve clinical decision-making and patient health outcomes.

Due to the complexity of the main symptoms of the diseases, it is difficult to develop early diagnostic tools. Therefore, effective and timely diagnosis of the disease remains a challenge in the medical field. Although the integration of artificial intelligence into medical practice is still in its early stages, its full use for medical diagnostics is possible, especially in the direction of cancer prevention.

Artificial intelligence can have a significant impact on medical practice, in particular improving the accuracy of diagnosis, saving costs and time compared to traditional diagnostic methods. Also, artificial intelligence has the potential to make clinical laboratory testing more accurate, faster, and more efficient. It is worth noting that in the health sector, errors in the diagnostic process are the biggest problem. Artificial intelligence can minimize diagnostic errors and detect life-threatening diseases in patients at an early stage.

Artificial intelligence has led to significant changes in terms of individualized treatment planning. By analyzing data such as medical history, demographics and lifestyle factors, AI predictive models can identify the risk of developing possible diseases and plan targeted interventions to prevent or treat them. The impact of artificial intelligence on individualized treatment planning aims to improve patient outcomes through targeted medical interventions that are more effective and safer.

In this regard, the decisive role of artificial intelligence in determining the dosage of medicines,

as well as in predicting drug contraindications, which is important for improving the treatment results, is crucial.

Artificial intelligence has the potential to analyze individual cases and compare them with patient databases, allowing for individualized treatment planning. This indicates the revolutionary potential of artificial intelligence in medicine. However, experts admit that artificial intelligence presents a challenge because the implementation of algorithms is not an independent process and takes place in a dynamic environment where human reaction and adaptation play a crucial role.

Artificial neural networks are an important method of artificial intelligence in medicine. Artificial neural networks are computational analytical tools inspired by the biological nervous system. They consist of interconnected computer processors, the so-called "neurons" capable of parallel computations to process data. Artificial neural networks have the ability to learn from historical examples, analyze non-linear data, process imprecise information and generalize, which makes them a very attractive analytical tool in the medical field. Artificial neural networks are widely used to solve many clinical problems.

